საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი 13.09.2021წ.

ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №10-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო ნაკვეთზე (ფართი 930 მ^2) მდებარე არსებული შენობა-ნაგებობების №1, №2, №3, №4-ის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ.

I. წარმოდგენილი მასალები

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან - 1 ფურცელი;

2. ტოპოგრაფიული გეგმა - 1 ფურცელი;

3. ესკიზები - არქიტექტურული პროექტი - ავტორი შ.პ.ს. EB „მინდია“ – დირექტორი, არქიტექტორი ბაკურ ჯმუხაძე - 2020წ. – 17 ფურცელი

II. ზოგადი მიმოხილვა

წარმოდგენილი მასალების გაცნობის და ჩემს მიერ ადგილზე ვიზუალური დათვალიერების შემდეგ ირკვევა, რომ სიტუაციური გეგმის მიხედვით, აღნიშნული ნაკვეთი მდებარეობს „ლაგუნა ვერეს“ მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელსაც წინა მხარეს ესაზღვრება სანაპიროს ქუჩა, არსებული შენობის მიწისპირა სართული ღრმად არის შეჭრილი მაღალ ნიშნულზე მდებარე სანაპიროს ქუჩის გრუნტში და მის ერთგვარ საყრდენს წარმოადგენს.

რელიეფის დახრილობამ განაპირობა ტერიტორიის ორ დონედ დატერასება. არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, შენარჩუნებული იქნება მიწისპირა სართულზე განთავსებული კონსტრუქციები და სათანადო რეაბილიტაციის შემდგომ, მასზე განხორციელდება მსუბუქი კონსტრუქციებით პავილიონის მონტაჟი.

წარმოდგენილი **ესკიზური** პროექტის მიხედვით ტერიტორიის არსებული 372,15 კვ.მ. განაშენიანება შემცირდება 320,90 კვ.მ.-მდე, აქედან, მხოლოდ 229,76 კვ.მ.-ზე განხორციელდება სარეკონსტრუქციო სამუშაოები, დანარჩენ გრუნტში შეჭრილი ერთსართულიანი ნაგებობა, რომელიც ფაქტიურად საყრდენი კედლის ფუნქციას ასრულებს, გამაგრდება სათანადო რეაბილიტაციით, მომიჯნავე ავტოგასამართი სადგურის მხრიდან გრუნტის ჩამოზვავების საფრთხის გამო.

III. არსებული შენობების კონსტრუქციული აღწერა

1. არსებული ამორტიზირებული კაფე-რესტორნის ძირითადი შენობა ორსართულიანია. გეგმაში მართკუთხა ფორმისაა, ზომებით: (11,7x19,8) მ. სართულების სიმაღლე (3,0+3,0) მ. აშენებულია მე-20 საუკუნის 70-იან წლებში. შენობის პირველი სართული - ნახევარსარდაფის ტიპისაა. მზიდი გრძივი და განივი კედლები ასაწყობი ბეტონის საძირკვლის ბლოკებითაა (სისქე 50 სმ) აშენებული. სართულშუა გადახურვა ლითონის პროფილირებული ორტესებრი კოჭებით, ბიჯით 2,5 მ, მალი 5,5 მ. გადახურვის ფილა სისქით - 20 სმ, არმირებული მონოლითური რკინა-ბეტონისაა. არსებულ მზიდ კონსტრუქციებს ბზარები და საშიში დეფორმაციები არ აქვს.

რეკონსტრუქციისთვის აუცილებელია საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ჩატარება, საპროექტო შენობის ფუძე-საძირკვლების მზიდუნარიანობის დასადგენად.

ძირითადი შენობის მე-2 სართული ფარდულის ტიპისაა, იგივე საზღვრებში. სვეტები, კოჭები, გრძივები და ნივნივები ლითონის პროფილირებული კვეთებით, სახურავი ერთქანობიანი, ბურული ლითონის ფურცლებით - მთლიანად კედლები და სახურავი ექვემდებარება დემონტაჟს.

IV. დამხმარე შენობა-ნაგებობების დახასიათება

ნაგებობა 03/1 - გეგმაში მართკუთხა ფორმისაა, ზომებით (5,56x15,1) მ = 84 კვ.მ. ერთსართულიანი, არაკარკასული, კედლები წვრილი ბლოკით, სისქით 20 სმ. გადახურვა რკინა-ბეტონის ფილა - სისქით 20 სმ. ექვემდებარება რეაბილიტაციას.

ნაგებობა 02/1 ზომებით (6,28x2) მ = 12,6 კვ.მ. ერთსართულიანი, არაკარკასული, კედლები წვრილი ბლოკებით სისქე 20 სმ. გადახურვა და სახურავი ხის კოჭებით. სახურავი ოთხქანობიანი, ბურული თუნუქის. ექვემდებარება დემონტაჟს.

ნაგებობა 04/1 - ფართით 4,2 კვ.მ. - ექვემდებარება დემონტაჟს.

V. სარეკონსტრუქციო შენობების ზეგავლენა მიმდებარე შენობა-ნაგებობებზე

რეკონსტრუქცია არ მოახდენს ზეგავლენას მიმდებარე შენობა-ნაგებობებზე, რადგან ისინი საკმაოდ დაშორებული არიან (იხ. ტოპოგრაფიული გეგმა და არქიტექტურული პროექტის განმარტებითი ბარათი, ფურც. 1).

VI. დასკვნა

ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №10-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო ნაკვეთზე (ფართი 930 კვ.მ.) არქიტექტურული პროექტით წარმოდგენილი ამორტიზირებული კაფეს ძირითადი შენობის 01/4 ზომებით გეგმაში (11,7x19,8) მ. პირველი სართული (-3,1 მ) დონე ტექნიკურად მდგრადია. არსებულ მზიდ კონსტრუქციებს ბზარები და საშიში დეფორმაციები არ აქვთ და მასზე მსუბუქი კონსტრუქციებით დაშენება შესაძლებელია, შესაბამისი პროექტის მიხედვით, ხოლო მეორე სართული (ფარდულის ტიპის) იგივე კონტურებში - ექვემდებარება დემონტაჟს.

დამხმარე ერთსართულიანი შენობები: 03/1 - ზომებით (5,56x15,1) მ და 02/1 - ფართით (4,2 კვ.მ.) ექვემდებარება დემონტაჟს.

ინჟინერ-კონსტრუქტორი თამაზ გეგეჭკორი

პ/ნ 01010015476

ტელ: 555 419508

დანართი:

1. CV (1 ფურც.)
2. პირადობის მოწმობის ასლი (1 ფურც.)
3. დიპლომის ასლი (1 ფურც.)
4. სახელის გამოცვლის მოწმობის ასლი (1 ფურც.)


IDENTITY CARD
GEO
საქართველოს
სახელი / FIRST NAME
თამაზ
TAMAZ
გვარი / LAST NAME
გეგეჭკორი
GEGETCHKORI
მოქ. / CIT
სქესი / SEX
პირადი № / PERSONAL №
GEO
მმ / M
01010015476
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
10.05.1951
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
25.04.2026
ბარათის № / CARD №
15IB00660
ხელმოწერა
SIGNATURE


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
მარტვილი
MARTVILI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
25.04.2016
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
IDGE015IB00660701010015476<<<<
5105106M2604251GE0<<<<<<<<<<<1
GEGETCHKORI<<TAMAZ<<<<<<<<<<<<

СВИДЕТЕЛЬСТВО О ПЕРЕМЕНЕ ФАМИЛИИ, ИМЕНИ, ОТЧЕСТВА
გვარის, სახელის, მამის სახელის გამოცვლის მოწმობა

Гражданин (ка) / მოქალაქე [illegible]

[illegible] [illegible] [illegible]

родившийся (аяся) / დაბადებული 10 [illegible] 1957

место рождения / დაბადების ადგილი [illegible]

переменил(а) фамилию, имя, отчество на / გამოიცვალა გვარი, სახელი, მამის სახელი [illegible]

[illegible] [illegible] [illegible]

о чем в книге регистрации актов о перемене фамилии, имени, отчества [illegible]

1982 года [illegible] месяца 10 числа

произведена запись за № 57

Место регистрации [illegible]

[illegible]

Дата выдачи 10 07 1982

[illegible]

I-ТИ № 263478

[illegible]

დიპლომი

წარჩინებით

У № 001038

ეს დიპლომი მიეცა გეგეჭკორის
ასურბან ნესტორის-ძეს
მასზე, რომ იგი 1968 წელს შევიდა
ვ.ი. ლენინის სახ. საქართველოს
პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1973 წელს დაამთავრა
აღნიშნული ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით
სამრეწველო და სამოქალაქო
მშენებლობა
სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1973 წ.
„25" ივნისის გადაწყვეტილებით
ა.ნ. გეგეჭკორს მიენიჭა

ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე
რექტორი
მდივანი

ქალაქი თბილისი 1973 წ. 17 XI

სარეგისტრაციო № სტ 1196

ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

У № 001038

Настоящий диплом выдан Гегечкори
Асурбаи Несторовичу
в том, что он в 1968 году поступил
в Грузинский политехнический
ин-т им. В.И. Ленина
и в 1973 году окончил полный курс
названного института

по специальности
Промышленное и гражданское
строительство

Решением Государственной экзаменационной комиссии от „25" июня 1973 г.
т. Гегечкори А.Н.
присвоена квалификация
инженера-строителя

Председатель Государственной экзаменационной комиссии
Ректор
Секретарь

Город Тбилиси „17" XI 1973 г.

Регистрационный № СТ 1196

Московская типография Гознака. 1963.